განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 13.07. 2020

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 24 .08.2020

თბილისი
2020-2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

წესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა (DDM)
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანა ლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი 0911 (Doctor of Dental Medicine)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი = 25 სთ)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მდინარაძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვერიკო ხუნძაკიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ებრალიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო, სტუდენტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სსიპ- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო . უნივერსიტეტის“ „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წლის 23 სექტემბერს (ოქმი №64) ამჟამად პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა არის 5 წლიანი, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300 კრედიტს. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 327 აქტიური სტუდენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის 29 აკადემიური (7 პროფესორი, 21 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი) და 11 მოწვეული პერსონალი, აქედან 20 აფილირებულია სსიპ- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“.

პროგრამის მიზანს წამოადგენს სტუდენტებისთვის თეორიული ცოდნის მიცემა და სტომატოლოგისთვის საჭირო და აუცილებელი პრაქტიკული უნარ- ჩვევების გამომუშავება. ამ მიზნის მისაღწევად, დაწესებულებას აქვს სათანადოდ აღჭურვილი საუნივერსიტეტო ბაზა, ასევე სტომატოლოგიურ კლინიკებთნ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს სათანადო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დაუფლებას როგორც სააუდიტორიო სწავლებით, ასევე, მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის, ექიმის ასისტირების და პროფესორის მეთვალყურეობის ქვეშ პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარების გზით.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 13 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეცა პროგრამა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ვიზიტი წარიმართა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულებას შორის შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად,

პროცესმა ჩაიარა თანამშრომლობით და მშვიდ ვითარებაში, ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. დათვარიელებული იქნა უნივერსიტეტის და კლინიკების ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებასთან. ყველა დოკუმენტი და მასალა, რომელიც დამატებით იქნა მოთხოვილი- დადმოგვეცა დროულად.

ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსი. უნივრსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქცია- მოვალეობებს სწავლების ხარისხის განვითარება წარმოადგენს, მუშაობს ეფექტურად. პროგრამის, სწავლის ხარისხის და სხვა გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები იგეგმება გუნდურად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით. უნდა აღინიშნოს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების რეალური და აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში, რამაც განაპირობა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტისა და საკონტაქტო საათებისა ხვედრითი წილის გაზრდა თეორიულ და კლინიკურ სასწავლო კურსებსა და უცხო ენაში.

სტომატოლოგიის პროგრამისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი რეალური და მირწევადია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადად მექანიკური ხასიათის შეცდომები ფიქსირდება. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი გაძლიერებულია, თუმცა, ვფიქრობთ ასევე აუცილებელია კლინიკური სასწავლო კურსების დასკვნით გამოცდაზე პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება. სილაბუსში დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, გარდა იმ სასწავლო კურსისა, სადაც ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსებში მოხდეს პრაქტიკული კომპონენტის შეფასება, შესაძლებელია გამოცდა იყოს კომბინირებული ფორმითაც, როგორც თეორიული, ისე კლინიკური უნარების დადასტურებით.

რეკომენდაციები:

- სასურველია შეიქმნას სასწავლო კურსი „ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია“.
- სასურველია კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს „ორთოდონტიაში“
- სასწავლო კურსებში (თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7. ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7, ორთოპედიული სტომატოლოგია 1,2,3; პირის ღრუს ქირურგია 1,2,3; ყბა-სახის ქირურგია1,2,3) შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული კომპონენტის შეფასებაც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმატი (კლინიკური გამოცდა) იყოს უნივერსალური ყველა კლინიკური სასწავლო კურსისთვის

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

    - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)-ის დანერგვა
    - პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება

- უცხო ენის კურსის გაძლიერება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის
მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“ მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას, რომელსაც შესაბამისად ექნება ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შესაბამისი კომპეტენციები სტომატოლოგიაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, არის რეალისტური და მიღწევადი. მიზნებში ჩანს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენაზეა ორიენტირებული აღნიშნული პროგრამა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი აცნობიერებს რა, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას, იგი მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქისა და რეგიონის განვითარებაში, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამებით. ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა მიზნად ისახავს მატერიალური რესურსის მუდმივ გაუმჯობესებას, სწავლების, კვლევების და პერსონალის განვითარების ხელშეწყობას, ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას, საერთაშორისო აღიარების მიღწევას, უცხოეთში ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერას, უცხოელი პროფესურის მოზიდვას ევროპის ქვეყნებიდან. პროგრამის მიზნები ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაც უზრუნველყოფს პროფესიაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და რეგიონში არსებული საკადრო

დეფიციტის აღმოფხვრას. ამდენად, პროგრამის მიზნები და მახასიათებლები, ასვე ადგილზე განხორციელებული ინტერვიუები, დაწესებულების ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ პროგრამა შეძლებს თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიწოდებას სტუდენტებისთვის, რაც უზრუნველყოფს კონკურენტულ შრომის ბაზრის პირობებში მათ დასაქმებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა ,,სტომატოლოგია'' (დანართი 1) ▪ უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ აწსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი www.atsu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასა და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტისთვის ზოგადი სამედიცინო განათლების , სტომატოლოგისთვის საჭირო და აუცილებელითეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების გადაცემაზე, მასში ადამიანის უფლებების, პროფესიული ეთიკის პრინციპების გამომუშავებასზე პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის მოთხოვნებს. ჩამოყალიბებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდა ორი მიმართულებით: 1) პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებთან მიმართებაში 2) პროგრამის სწავლის შედეგები სასწავლო კომპონენტებთან მიმართებაში სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები ფორმულირებულია შემდეგნაირად: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია 1. ბიოსამედიცინო, და სტომატოლოგიური მეცნიერების ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირება და კრიტიკული გააზრება, მოლეკულურ, უჯრედულ და სისტემურ დონეზე ადამიანის განვითარების აღწერა, ორგანიზმის ნორმალური სტრუქტურის კლასიფიცირება, ნორმალური მეტაბოლიზმისა და ნორმალური იმუნური ფუნქციის ახსნა; 2. დაავადებების მექანიზმებისა და პათოლოგიური სტრუქტურის აღწერა, სტომატოლოგიურ დაავადებათა კლინიკური მიმდინარეობის აღწერა. 3. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა - ანამნეზის შეკრება; კლინიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღება; განმარტებების და რჩევების

მიცემა; პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა.

4. სტომატოლოგიურ დაავადებათა იდენტიფიცირება და დიაგნოსტირება, კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევის გეგმის შედგენა და შედეგების ინტერპრეტაცია, რეკომენდაციების შემუშავება პაციენტის ასაკისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება.
5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, უნარ-ჩვევების დემონსტრირება, პაციენტისაგან ინფორმაციის/ანამნეზის შეკრება, საჭირო საანესთეზიო საშუალებების შერჩევა და ანესთეზირება; საბჟენ-სარესტავრაციო მასალათა შერჩევა და ჩვენების მიხედვით მათი სწორად გამოყენება.
6. ორთოპედიულ და ორთოდონტიულ პათოლოგიათა დიაგნოსტირება, მკურნალობის გეგმის შედგენა, ორთოპედიული და ორთოდონტიული კონსტრუქციების შერჩევა სამედიცინო ჩვენების მიხედვით; პირის ღრუს ორგანოებისა და ყბა-სახის მიდამოს სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება. პირის ღრუს ჰიგიენის რეკომენდაციების შემუშავება პაციენტის ასაკისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით.
7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება, კონფიდენციალობის დაცვა; მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება; სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის ეფექტურად მოძიება გამოყენება, პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

8. აცნობიერებს ექიმი-სტომატოლოგის როლს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში. პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას;

პროგრამის სწავლის მისაღწევი შედეგების ჩამონათვალში ჩანს თეორიული ცოდნის, პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი და ასევე ავტონომიურობისა და კომპეტენციის დამდასტურებელი უნარები. პროგრამის მიზნები მიღწევადია, რადგან შედეგები არის გამჭირვალე, რეალისტური და გაზომვადი.

პროგრამის სწავლის შედეგების შესამოწმებლად გამოყენებულია თეორიული და კლინიკური უნარების დამადასტურებელი გამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და კომპლექსური საკვალიფიკაციო ტესტური გამოცდა. აღნიშნული გამოცდა მოიცავს საგამოცდო ტესტურ დავალებას (100 შეკითხვა) შემდეგი მიმართულებით: თერაპიული სტომატოლოგია (23 შეკითხვა), ქირურგიული სტომატოლოგია (23 შეკითხვა), ბავშვთა სტომატოლოგია-(23 შეკითხვა), ორთოპედიული სტომატოლოგია, (23 შეკითხვა), და ორთოდონტია (8 შეკითხვა).

კომპექსური გამოცდის 51% დაძლევა სრულდება დიპლომირებული

სტომატოლოგის კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად ჩართულია ხარიხსის კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე, ესაა სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვა, მონიტორინგი, შედეგების ანალიზი, სტუდენტებთან გაცნობა და კონსულტაციები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა გაიარა პროფესიული გადამზადება სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუს შედეგები; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, რისთვისაც უნივერსიტეტის მიერ დადგენილია საგნების პრიორიტეტები და მათი შესაბამისი კოეფიციენტები. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; (დანართი 1) ▪ ,,აწსუმედიცინის ფაკულტეტისდებულება“; (დანართი 15)

- თვითშეფასების ანგარიში;
- აწსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი www.atsu.edu.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა 5-წლიანია. ის აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მოიცავს 300 კრედიტს, (წელიწადში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი. 1 კრედიტი შეესაბამება 25 სთ-ს)

პროგრამა ორიენტირებულია თეორიული და კლინიკური უნარების

გამომუშავებაზე. ბაზისური სასწავლო კურსები ტარდება უნივერსიტეტში, ხოლო კლინიკური სასწავლო კურსები - შესაბამის კლინიკურ ბაზაზე.

პროგრამის შინარსი ორიენტირებულია ბაზისური უნარ-ჩვევებისა და კლინიკური კომპეტენციების გამომუშავებაზე. პროგრამაში სავალდებულო კურსებს ეთმობა - 82 კრედიტი, პრეკლინიკურს - 20, კლინიკურ კურსებს-192 კრედიტი, 6 კრედიტი არჩევითს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სწავლის შედეგები გათვალისწინებულია სრულად პროგრამის შინაარსში, იგი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმში ცალკე სასწავლო კურსად არ ისწავლება „ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია“. მართალია, სტუდენტებს აქვთ შეხება ბავშვთა ასაკის პაციენტებთან (რაც დასტურდება წარმოდგენილი საბუთებით), შეუძლიათ მათთან მუშაობა და კომუნიკაცია, მაგრამ სასურველია შეიქმნას ცალკე სასწავლო კურსი. ასევე, ორთოდონტიას ეთმობა 6 კრედიტი, სასურველია კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ.

პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურა ახალია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რითაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია: აწსუ აკად. საბჭის დადგენილებით №49 (17/18) 09.02.2018); (დანართი 8.)
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; (დანართი 1)
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. (დანართი 17).
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- სასურველია შეიქმნას სასწავლო კურსი „ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია“.
- სასურველია კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს „ორთოდონტიაში“

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად, თითოეულ სასწავლო კომპონენტის დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. თითოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის მუშაობისთვის განკუთვნილ საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს. კურიკულუმის რუქა წარმოდგენილია პროგრამით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისათვის აუცილებელი სასწავლო კურსები (I-P-M-გრადაციით). სასწავლო პროგრამა შესაბამება აკრედიტციის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები, შედეგები, სასწავლო კურსების შინაარსი და სახელმძღვანელო ლიტერატურ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. სააკრედიტაციოს წარმოდგენლ პროგრამაში, მიმდინარე პროგრამასთან შედარებით, გაზრდილია კლინიკური სასწავლო კურსებისა და უცხო ენის კრედიტები, საკონტაქტო საათები,

გათვალისწინებულია გამოცდების ჩატარება კლინიკური უნარების დადასტურებით, ამ მიმართულებით გათვალისწინებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდებით ცოდნის დადასტურება, რისთვისაც დაწესებულება შეძენილი აქვს საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა. სილაბუსები წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურით, ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სტუდენტს მის ელექტრონულ ბაზაში აქვს შესაძლებლობა შეუკვეთოს სილაბუსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ქსეროასლები ან ელექტრონული ვერსიები, გარდა ამისა უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; (დანართი 1.) • კურიკულუმის რუკა • აწსუ ვებგვერდი. • აწსუ ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა კლინიკებთან. ეს კლინიკებია:

- შ.პ.ს. ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი
- შ.პ.ს. #1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა (დენტიმერი)
- შ.პ.ს. ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა (პრიმადენტი)
- დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი,
- ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი
- სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ -ტრენინგ ცენტრი

კლინიკური სასწავლო კურსები სწორედ ამ კლინიკებში ხორციელდება. სტომატოლოგიური კლინიკები აღჭურვილი თანამედროვე სტომატოლოგიური დანადგარებით, ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული განყოფილებები. სტუდენტთა მცირე ჯგუფებისათვის კლინიკებში განთავსებულია აუდიტორიები თეორიული და პრეკლინიკური სწავლებისათვის, სასტერილიზაციო აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი აღჭურვილია უახლესი რენტგენოლოგიური აპარატურით, სადაც ხორციელდება სრულფასოვანი რენტგენოლოგიური გამოკვლევა. კლინიკაში განთავსებული საოპერაციო კაბინეტი კბილთა იმპლანტაციის ჩასატარებლად.

კლინიკები აღჭურვილია პრეკლინიკური სწავლებისათვის საჭირო ფანტომებითა და სიმულატორებით. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისა და კლინიკის დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ ყველა პირობა იმუშაონ ფანტომებზე, სიმულატორებზე და ასევე უშუალოდ პაციენტებზე პროფესორის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე შეუძლიათ ექიმის ასისტირება.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით უნარების გამომუშავება უზრუნველყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური

მხარდაჭერითა და ჩართულობით. სტუდენტების მონაწილეობით ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სტიპენტიის დანიშვნის ერთ-ერთ კრიტერიუმს, სწორედ მისი კვლევითი და შემოქმედებითი აქტივობა წარმოადგენს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის მხატვრული თვითშემოქმედების წრეები და სპორტული სექციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუდენტთა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში (დანართი 8) • პრაქტიკის ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის

მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში გაწერილია სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული საწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტნაკლებად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებში გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ინტერაქტიური და მოდიფიცირებული ლექციები; ლიტერატურის დამუშავება პედაგოგთან უკუკავშირით და მისივე ზედამხედველობით; დისკუსია დებატები; პრაქტიკული მეცადინეობები; სასწავლო მასალების დემონსტრირება (თეორიული საკითხების ანალიზის საფუძველზე დემოგრაფიული ატლასებისა და ცხრილების გამოყენებით); სიტუაციური ამოცანების ანალიზი, შემთხვევათა განხილვა; რეფერატის/პრეზენტაციის/ მომზადება/წარდგენა. პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება ხდება მანეკენებსა და ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარებით, სტუდენტს შეუძლია პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა და რჩევა - დარიგების მიცემა. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის გამოყენებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. გეგმის შემუშავება ხდება სემესტრის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამა ,,სტომატოლოგია“(დანართი 1.) • სტომატოლოგიის პროგრამის სილაბუსები. (დანართი 1.)

- უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ - 2017 წლის 5 დეკემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილება №30(17/18).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების შეფასება ხდება იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც მეტწილად უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების, საბოლოო ჯამში კი, პროგრამის შედეგების მიღწევას. კერძოდ:

ყოველდღიური შეფასება ხდება ზეპირი გამოკითხვის, ქვიზის, დისკუსიის, ანალიზის, ფანტომ- მულაჟებზე ჩასატარებელი მანიპულაციების სახით. კლინიკურ საგნებში პრაქტიკულ მეცადინეობებზე ხდება იმ კლინიკური უნარების შეფასება, რომელსაც სასწავლო კურსის შინაარსი ითვალისწინებს.

კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, თუმცა სასურველია მოხდეს ქულების დეტალური ჩაშლა. სასწავლო კურსებში (თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7. ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7, ორთოპედიული სტომატოლოგია 1,2,3; პირის ღრუს ქირურგია 1,2,3; ყბა-სახის ქირურგია1,2,3) შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, სადაც ხდება თეორიული ცოდნის შეფასება, ამიტომ სასურველია კლინიკური პროფილის სასწავლო კურსებში გამოცდის წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული უნარების შეფასებაც. აუცილებელია შემოწმდეს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის გავლის დროს შეძენილი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ანამნეზის შეკრების, სავარაუდო დიაგნოზის დასმის, კომუნიკაციის, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარები. უნივერსიტეტში პრაქტიკული უნარების შესაფასებლად ინერგება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რაც გაწერილია X სემესტრის სილაბუსში (თერაპიული სტომატოლოგია 8), რომლის ირგვლივაც პერსონალმა გაიარა ტრენინგი, ინფრასტრუქტურა და უნივერსიტეტის რესურსები პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამა ,,სტომატოლოგია“ (დანართი 1.) • პროგრამის სილაბუსები; (დანართი 1.) • აწსუ აკად. საბჭოს დადგენილება #5 (17.18)-სტუდენტთა შეფასების სისტემა (დანართი 9.) • შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი. (დანართი 9) • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
რეკომენდაციები: • სასწავლო კურსებში (თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7. ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7, ორთოპედიული სტომატოლოგია

1,2,3; პირის ღრუს ქირურგია 1,2,3; ყბა-სახის ქირურგია1,2,3) შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული უნარების შეფასებაც.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმატი (კლინიკური გამოცდა) იყოს უნივერსალური ყველა კლინიკური სასწავლო კურსისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ● მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით და მატრიალურ- ტექნიკური ბაზის გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. ისინი ინფორმირებულები არიან ყველა სიახლესთან და ცვლილებასთან დაკავშირებით და შეუფერხებლად იღებენ კონსულტაციას მათთვის საინტერესო ყველა საკითხთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა, აკადემიური მიღწევები, სწავლის შედეგები და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ: უნივერსიტეტის მასშტაბით მოქმედებს კორპორაციული ფოსტა www.mail.atsu.edu.ge, აღნიშნულ ფოსტაზე სტუდენტს ჩარიცხვისთანავე არეგისტრირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური და მათ მთელი სწავლის პერიოდში უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურებიდან მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია. აღსანიშნავია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის საქმიანობა, რომელიც 2014 წელს TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში შეიქმნა და ორიენტირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის • სტუდენტთა განცხადებების ელექტრონული მოძრაობის ორგანიზება; • სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; • სტუდენტთა ომბუდსმენი;

- სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი;
- აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი.

ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია სასურველი სერვისის ან/და ინფორმაციის მისაღებად მიმართოს სერვისების ცენტრს ან მიწეროს 24 საათიან რეჟიმში კორპორაციული ელ. ფოსტის მეშვეობით info.students@atsu.edu.ge. არნიშნული პროგრამა საშვალებას აძლევს სტუდენტებს სწრაფად, ბიუროკრატიული შეფერხებების გარეშე მიიღონ მათთვის საინტერესო ყველა ინფორმაცია და დახმარება.

სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირები სწავლის დაწყების წინ ახორციელებენ საინფორმაციო შეხვედრებს და აწვდის სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ყველა ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიან თვითმართველობის წარმომადგენლები, ჯგუფის კურატორები და ფაკულტეტის მდივანი. მათთან ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ლექტორები მუდმივად მზად არიან გაუწიონ საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც გათვალისწინებულია სილაბუსებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური, მასზე მორგებული განრიგის შერჩევას.

უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება კონფერენციები, ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები, რომლებშიც ისინი აქტიურად მონაწილეობენ. გამოწვევად რჩება საერთაშორისო მობილობა, რაც სიძვირის გამო, ზოგადი პრობლემაა სტომატოლოგიის პროგრამებისთვის, თუმცა, უნვერსიტეტმა უკვე გააფორმა ხელშეკრულება ფინეთის Nordic Insitute Of Dental Education და აგრძელებს ამ მიმართულებით პარტნიორების მოძიებას, რათა მისცეს საშუალება სტუდენტებს აქტიურად ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ელექტროული ბიბლიოთეკით და ასევე ადგილზე გაეცნონ მასალა, ასევე შესაძლობლბა აქვთ სახლში წაიღონ მათთვის საჭირო ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან • უნივერსიტეტის ვებგვერდი www.atsu.ge • ჩატარებული გამოკითხვის შედეგები • შინაგანაწესი • ლექტორების CV • უნივერსიტეტის სტრუქტურა • https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნული სტანდარტით არ**

შეფასებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა				

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სტომატოლოგიის პროგრამას ახორციელებენ აკადემიურ პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები და შესაბამისი კვალიფიკა-ცია,პროგრამაში ჩართულია 42 პერსონალი (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული). აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 7 პროფესორს, 21 ასოცირებული პროფესორს და 1 ასისტენტ პროფესორს. აფილირებულუი აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 20 პროფესორს, 2 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასისტენტი, 11 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობისა ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დატვირთვა ასახულია უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მარეგულირებელ დოკუმენტში.

არჩეული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები ასახულია აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. პროგრამის ხელმძღვანელი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 24 წლიანი პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილებით, პროფესორი, პრაქტიკოსი სტომატოლოგი, უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან ერთად იღებს მონაწილეობას სტუდენტთა კონსულტაციებში და სხვადასხვა აქტივობებში, რომელიც პროგრამაშია გაწერილი. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით. სტუდენტების მოთხოვნით გაიზარდა ინგლისური ენის სასწავლო კურსში კრედიტების რაოდენობა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ცენტრებში, ლაბორატორიებში მუშაობს სათანადო კომპეტენციის მქონე პერსონალი და კვალიფიციური დამხმარე პერსონალი. რომელთა საქმიანობა მიმართულია სასწავლო პროცესის მიზნების შესრულებისაკენ
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ რეგულარულად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და შედეგების ანალიზი; უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ინტერვიუებით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სემინარები, წელიწადში რამოდენიმეჯერ ეწყობა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ტრეინინგები და მასტერ-

კლასები სტომატოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პედაგოგებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში(სტატიების გამოქვეყნება, სამეცნიერო გრანტების მოპოვება). სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი თ. ლობჟანიძე 2019 წლის აპრილში მიწვეული იყო ქალაქ ჰელსინკის პლანმეგას სამედიცინო აკადემიაში, ინტერნაციონალურ სამუშაო შეხვედრაზე ფინეთის, ბელორუსიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან სტომატოლოგიური უმაღლესი სამედიცინო განათლების ურთიერთთანამშრომლობის საკითხების განვითარებასთან დაკავშირებით. განხილული იქნა თანამედროვე მიდგომები ფინეთის უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკული და თეორიული მომზადების საკითხებში. მოსმენილ იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბელორუსიის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა შეხედულებები. მიღებულ იქნა შეთანხმება, რომ ჰელსინკის უნივერსიტეტის სწავლების გამოცდილება დანერგილ იქნას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები. ○ .აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები და სხვ.). ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. მედიცინის ფაკულტეტისათვის აღდგენილია და გარემონტებული მე-11 კორპუსი, საკონფერენციო და სხდომათა დარბაზებით, ინფორმაციულ-საკომუნიუკაციო ტექნოლოგიებით, კომპიუტერული ტექნიკით, ფაკულტეტს აქვს კლინიკური უნარ–ჩვევების ლაბორატორია. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სამშენებლო- სარემონტო სამუშაოები იმ სივრცეში, სადაც უნდა განთავსდეს OSCE -ის(ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) სადგურები. კლინიკური დისციპლინების სწავლება მიმდინარეობს შესაბამის კლინიკურ ბაზებზე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, კერძოდ: – შ.პ.ს. ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი – შ.პ.ს. #1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა (დენტიმერი) – შ.პ.ს. ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა (პრიმადენტი) - დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი,

- ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი
- სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ -ტრენინგ ცენტრი

ამასთან, ქუთაისის რეგიონალურ სტომატოლოგიურ ცენტრში სწავლის საწყის ეტაპზევე სტუდენტებს საშუალება აქვთ სტომატოლოგიურ ფანტომებზე და მულაჟებზე შეისწავლონ სხვადასხვა კლინიკური მანიპულაციები. აგრეთვე აქვთ საშუალება პაციენტთან ასისტირების გზით, პედაგოგის ზედამხედველობით შეასრულონ მცირე მანიპულაციები

ბიბლიოთეკას განთავსებულია ცალკე შენობაში. იგი აღჭურვილია ყველა იმ სავალდებულო ლიტერატურით, რაც მითითებულია სასწავლო კურსებში. და სხვ. სასწავლო მასალით, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული, არსებული ფონდი მუდმივად განახლებადია, ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. უნივერსიტეტში არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი “, აგრეთვე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ მართვის ელექტრონული სისტემით. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ონლაინ რეჟიმში სწავლების შუფერხებლად წარმართვისათვის უნივერსიტეტს აქვს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის ელექტრონული ვერსია, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს, ბიბლიოთკაში არის სივრცეები შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისათვის.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები კლინიკურ ბაზებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის შემოსავლები მოიცავს სწავლის საფასურის, დაფინანსება მოხდება საკუთარი ხარჯებით და გრანტის მოპოვების შემთხვევაში, გრანტის გამცემი ორგანიზაციის მიერ. პროგრამის ხარჯის გაანგარიშება ხდება მისი სტრუქტურის შესაბამისად. ცალკე გამოიყოფა სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და პრაქტიკა. ინტერვიუს შედეგებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მზაობა და ფინანსური რესურსი პროგრამის განხორციელებისათვის. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, სამეცნიერო კვლევების

დაფინანსების, ბიბლიოთეკის ფონდის და სასწავლო მასალის განახლების, სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის და სხვა აქტივობების ხარჯები. გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და მოვლენების პრევენცირებისა და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით, პროგრამის მთლიან ხარჯს ემატება ე.წ. „რისკის დაზღვევა“, რომლის მოცულობა, მიმდინარე ეტაპზე, შეადგენს მთლიანი ხარჯის 10%-ს. სტომატოლოგიის პროგრამისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები ○ დადგენილება №175 (პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპები) ○ სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. როგორც თვითშეფასებიდან ირკვევა უნივერსიტეტის ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას

I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;

II. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;

III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA.

ინტერვიუს პროცესში აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტი შიდა ხარისხის შეფასებისათვის იყენებს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აწსუ-ს აკადემიური პერსონალი, რომლებსაც გააჩნით განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტობის მრავალწლიანი გამოცდილება. ინტერვიუებიდან აგრეთვე გაირკვა დამსაქმებლების აქტიური მონაწილეობა ხარისხის განვითარების პროცესებსა და პროცედურებში.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ხორციელდება შემდეგი პრინციპით: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხდება აკადემიური პერსონალის და კურსის განმახორციელებლის გამოკითხვა, დამსაქმებელთა გამოკითხვა,

სტუდენტთა კმაყოფილებისა და ურთიერთდასწრების კვლევა.

გამოკვლევის შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის სრულყოფის პროცესში

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის 2015, 2016, 2017 და 2018 წლების ანგარიშები;

  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

  ხარისხის უზრუნველყოფის თვითშეფასების კითხვარები;(დანართი 2).
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“(დანართი 8.)
- ასწუ-ს და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ განხორციელებული შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები; (გამოკითხვის შედეგები, თვითშეფასების ჯგუფის ოქმები: დანართი 2)

○ www.atsu.edu.ge ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამა მომზადებულია აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტის გარე შეფასებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აკრედიტაცია განხორციელდა 2011წელს. პროგრამის პაკეტის გადამუშავება მოხდა „ორმაგი ექსპერტიზის“ მიდგომებით: უცხოელი ექსპერტის - ჰელსინკის სტომატოლოგიური განათლების ნორდიკის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის რეკომენდაციების და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორის ნინო ჩიხლაძის რეკომენდაციების გათვალისწინებით. უცხოელი ექსპერტის რეკომენდაციებში აღნიშნულიყო, რომ გაზრდილიყო სასწავლო დატვირთვაში კლინიკური, პრაქტიკული და კვლევითი საათების რაოდენობა და სტუდენტების ჩართულობა პაციენტებთან მკურნალობის პროცესში. აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებული იქნა და ასახულია პროგრამა სტომატოლოგიის კურიკულუმში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა ,,სტომატოლოგია“ (დანართი 1.) ○ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 (დანართი 8) ○ შეფასების კითხვარები. (დანართი 17.) ○ შიდა და გარე შეფასება. (დანართი 17
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების, განახლებისა და განვითარების მიზნით ხორციელდება მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. ინტერვიუს პროცესში აკადემიურმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა დაადასტურეს. რომ სისტემატიურად ხდება კითხვარების შევსება; ყოველ სემესტრში გროვდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემები და ხდება ანალიზი. ტარდება ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელის შეხვედრები კამყოფილების კვლევის მიზნით. სასწავლო კურსის განმახორციელებლები ატარებენ საკუთარ გამოკითხვებს სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ და ხდება პერმანენტული განხილვები ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელთან, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა; (დანართი 8.) ○ გამოკითხვის ფორმები (დანართი 17).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

"სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>



სახელი, გვარი, ხელმოწერა **ნანა მდინარაძე**

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ვერიკო ხუნძაკიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა კონსტანტინე ებრალიძე